



ა(ა)იპ – მწვანე ალტერნატივას  
აღმასრულებელ დირექტორს, ნინო გუჯარაიძეს

მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. N27/29,  
მე-2 სართული; ტელ: 222 38 74

ქალბატონო ნინო,

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოს მთავრობის სახელზე 2015 წლის 09 თებერვალს წარმოდგენილ იქნა თქვენი N12254 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც შეეხება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის N03/266 ბრძანების და სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის დადებული 2014 წლის 8 აპრილის N01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობეთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 185 ე მუხლის, 83-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გეძლეოდათ შესაძლებლობა თქვენი N12254 ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, წერილობით წარმოგედგინათ თქვენი მოსაზრებები 5 დღის ვადაში. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის N13678 წერილის მიღება თქვენს მიერ დადასტურებულ იქნა 2015 წლის 16 თებერვალს.

ვინაიდან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოცემულ ვადაში N12254 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი თქვენი მოსაზრებები, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლისა და 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თქვენი მიმდინარე წლის 9 თებერვლის N12254 ადმინისტრაციული საჩივარი რჩება განუხილველი.

პატივისცემით,

სოფიო სიჭინავა

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

N21790  
09.03.2015